

**ბათუმის ისტორიულ ზონაში თიბისი ბანკის ფილიალი  
განთავსდა**

**თიბისიმ არქიტექტურული ძეგლის რესტავრაცია განახორციელა**

*27 იანვარი, 2009 - დღეს, 19:00 საათზე, თიბისი ბანკი ბათუმში საზეიმოდ გახსნის ახალ ფილიალს. აჭარის დედაქალაქში თიბისის რიგით მესამე ფილიალის გახსნას საქართველოს პრეზიდენტი და ხელისუფლების სხვა უმაღლესი პირებიც დაესწრებიან.*

თიბისი ბანკის ბათუმის ახალი ფილიალი განთავსდა ყოფილ რკინიგზის სადგურის შენობაში, რომელიც მე-19 საუკუნეშია აშენებული და საქართველოში ერთ-ერთ უღამაზეს და უმნიშვნელოვანეს არქიტექტურულ ნაგებობათა რიცხვს განეკუთვნება.

ეს შენობა მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ იგი არის ამ დანიშნულების მქონე შენობის ერთ-ერთი ადრეული და მეტ-ნაკლებად პირვანდელი სახით მოღწეული ნიმუში საქართველოში.

ბათუმის რკინიგზის სადგური 1889-1895 წლებში აშენდა. ამ დროს ბათუმის მთავარი არქიტექტორი იყო ვასილ ჯარცოვი.

მე-20 საუკუნის დასაწყისში მოხდა ბათუმის რკინიგზის სადგურის გაფართოება – მას მესამე სარკინიგზო ხაზი დაემატა.

1916 წელს სწორედ ამ სადგურიდან იგეგმებოდა ტრაპიზონისა და ყარსის რკინიგზების გაყვანა. 1920 წლიდან კი შეიქმნა ორი სადგური: "ბათუმი-საბარგო" და "ბათუმი-სახალხო". 1930-იან წლებში შენობას ნახევარწრის ფორმის სართული მიაშენეს...

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერთიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიური ტენდენციების ბაზარზე
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრა-თანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვაციური საქართველოში;
- ◆ წამყვანი პოზიციები უკავია სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B and B
- ◆ Moody's: B 3 and Ba1

ბათუმის რეინიგზის სადგური ზუსტად ერთი საუკუნე ფუნქციონირებდა... 1990-იან წლებში ნაგებობა მნიშვნელოვნად დაზიანდა და დაქარგა თავისი თავდაპირველი ფუნქცია.

შენობის ბოლო და ყველაზე მასშტაბური სარეკონსტრუქციო პროექტი თიბისი ბანკმა განახორციელა 2007-2008 წლებში. ბანკმა ამ პროექტის დასაფინანსებლად 5 მილიონი ლარი გამოყო.

სარეკონსტრუქციო პროექტის დასრულების შემდეგ, არქიტექტურულმა ძეგლმა თავისი პირვანდელი სახე აღიდგინა და ქალაქს განახლებული ფუნქციით დაუბრუნდა – მასში წამყვანი ქართული ბანკი განთავსდა, რომელიც მომხმარებელს შესთავაზებს სრულ საბანკო მომსახურებას განსაკუთრებულ გარემოში.

სარეკონსტრუქციო სამუშაოები "ახალმა სამშენებლო კომპანიამ" (NCC) ჩაატარა. ეს კომპანია 2005 წლიდან მოღვაწეობს. მის მიერ დღემდე განხორციელებული სარეკონსტრუქციო პროექტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე "მწვანე შენობისა" და ასევე თიბისი ბანკის სათავო ოფისის რეკონსტრუქცია მარჯანიშვილის ქ. №7-ში.

---

*სს თიბისი ბანკი დაფუძნდა 1992 წელს და გამოირჩევა განვითარების ძალზე წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას. 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. თიბისი ბანკის დამფუძნებლები: IFC, DEG და ქართველი ჯერძო პირები.*